შ.პ.ს.
"ხუროთმოძღვარი"

LTD
"KHUROTMODZGVARI"

მ. წინამძღვრიშვილის ქ. №90

M. TSINAMDZGVRISHVILI STR. 90

15 აპრილი 2013 წ

ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისში, შუამთის ქუჩა №20-ში (საკ. კოდი №01.19.20.023.004) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენების) შესაძლებლობის შესახებ

შ.პ.ს. "ხუროთმოძღვარი"-ს სპეციალისტების მიერ გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობას, მისი რეკონსტრუქციის შესაძლებლობის დასადგენად.

შუამთის ქუჩა №20-ში მდებარე შენობა წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, სარდაფის გარეშე.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა წარმოადგენს კომპლექსური ტიპის ნაგებობას.

"ი", "ვ" და "გ" ღერძებში შენობის კედლები ამოყვანილია მცირეგაბარიტიანი ბლოკებით, რომლის თავზე მოწყობილია რკ/ბეტონის სარტყელი, ხოლო "ა" და "ბ" ღერძების გასწვრივ მოწყობილია მონოლითური რკ/ბეტონის ჩარჩოები.

გადახურვა შესრულებულია ანაკრები ღრუტანიანი გადახურვის ფილებით.

შენობის მესაკუთრეს სურვილი აქვს არსებულ ნაგებობაზე აწარმოოს ერთი სართულის დაშენება.

დაშენება გულისხმობს არსებული ანაკრები ფილების ზემოთ მონოლითური რკ/ბეტონის ფილის მოწყობას (მონოლითური რკ/ბეტონის კონსოლური ფილების მოსაწყობად).

შენობის რეკონსტრუქციისათვის საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- არსებული მონოლითური რკ/ბეტონის სვეტების დაგრძელება;
- რკ/ბეტონის სვეტები შეიკრას მონოლითური რკ/ბეტონის რიგელებით;
- ახალი გადახურვა მოეწყოს როგორც ხის კონსტრუქციებით, ასევე მონოლითური რკ/ბეტონის ფილით.

დ ა ს კ ვ ნ ა

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე შ.პ.ს. "ხუროთმოძღვარი" ადგენს, რომ ქ. თბილისში, შუამთის ქუჩა №20-ში (საკ. კოდი №01.19.20.023.004) არსებული შენობის რეკონსტრუქცია (დაშენება) შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

შ.პ.ს. "ხუროთმოძღვარი"-ს დირექტორი (ბ. აბსავა)

კონსტრუქტორი (ნ. ჯერეთელაშვილი)